ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032609725-03
თარიღი: 07.04.2026 12:56
ვადა: 07.05.2026

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01260971257 განცხადების თარიღი: 07.04.2026
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032609725-03
07.04.2026 : 12:56
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01260971257**
თარიღი: **07/04/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს;

ბ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 26.581.642
6 / აპრილი / 2026 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №-----

2026 წლის ------ **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 30/12/2025, სარეგიტრაციო კოდი: 010250050.35.101.017381) და ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის“:

1. მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ავარიული საცხოვრებელი სახლი – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა), რომელთა ავარიულობის ხარისხი არის V ან IVკატეგორია და უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და ექვემდებარება დემონტაჟს ან უკვე განხორციელდა დემონტაჟი, ან თუ იგი, ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად, საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს;“;

2. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შენობა-ნაგებობა ან/და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტები არის ავარიული და ავარიულობის ხარისხი მიეკუთვნება V ან IV კატეგორიას, ან თუ იგი, ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად, საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს;“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იმ შემთხვევაში, როცა მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ერთზე მეტი შენობა-ნაგებობა, ამ მიწის ნაკვეთზე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამოსყიდვის პროცესი ამ წესის შესაბამისად წარიმართება, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავარიულობის ხარისხის/დემონტაჟის საჭიროების შესახებ დასკვნა

წარმოდგენილი იქნება მიწაზე განთავსებულ ერთ-ერთ საცხოვრებელ შენობა-ნაგებობაზე მაინც.";

3. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) გამოსასყიდი ავარიული საცხოვრებელი სახლი ან/და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტები ავარიულობის ხარისხის მიხედვით მიეკუთვნება V ან IV კატეგორიას ან თუ იგი, ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად, საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს, რაც დასტურდება დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, გაცემული სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ;".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესი“ (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – „მუნიციპალიტეტი“) ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის და შემდგომში ამ ტერიტორიის განვითარება/გამოყენების პირობებსა და პროცედურას. ამასთან, აღნიშნული დადგენილების მიხედვით, ავარიული საცხოვრებელი სახლი განმარტებულია როგორც: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა), რომელთა ავარიულობის ხარისხი არის V ან IVკატეგორია და უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და ექვემდებარება დემონტაჟს ან უკვე განხორციელდა დემონტაჟი.

პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელია ისეთი შენობა-ნაგებობების არსებობა, რომლებიც ავარიულობის ხარსისხის თვალსაზრისით, IV კატეგორიასთან ერთად ასევე შეიცავდეს III კატეგორიის დაზიანებებსაც, თუმცა იგი წარმოადგენდეს საფრთხის შემცველ შენობას, მისი ექსპლუატაცია დაუშვებელი იყოს და საჭიროებდეს დემონტაჟს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით რომ ამ პროგრამის მიზანია საფრთხის შემცველი ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვა რათა დაცულ იქნას როგორც მოქალაქეების/მესაკუთრეების ასევე საჯარო ინტერესები, მიზანშეწონილია რომ წესში დაზუსტდეს ავარიული საცხოვრებელი სახლის განმარტება და გარდა დღეს არსებული განმარტებისა, დაემატოს რომ ავარიულ სახლად ჩაითვლება ასევე შესაბამისი შენობა-ნაგებობა, თუ იგი ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზანი:

დადგენილების მიღების მიზანია, ხელი შეეწყოს ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის პროცესის გამარტივებას.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

დადგენილებით დამტკიცებული წესში შედის ცვლილება შემდეგ მუხლებში: მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და მე-2 პუნქტში, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში. აღნიშნულ დებულებებში დაზუსტა რომ ავარიულ საცხოვრებელ სახლად ასევე მიიჩნევა შენობა-ნაგებობა, თუ იგი ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

განკარგულება - N 26.580.643
6 / აპრილი / 2026 წ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №--

2026 წლის --------- **ქ. თბილისი**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.
შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 27/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016295) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ და 39[1] მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ ავარიულ შენობა-ნაგებობებზე, რომელთა ავარიულობის ხარისხი მიეკუთვნება IV ან V კატეგორიას, ან თუ ეს შენობა-ნაგებობა, ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად, საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს.“;

ბ) მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ე) შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხის დამადასტურებელი დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ამ შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხი არის IV ან V კატეგორიის, ან დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ეს შენობა-ნაგებობა, ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად, საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს. ამასთან, ეს დასკვნა გაცემული უნდა იქნას სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობა ავარიულობის საფუძვლით დემონტირებულია/დანგრეულია სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე გაცემული დასკვნის საფუძველზე, დამატებითი დასკვნის წარმოდგენა სავალდებულო არ არის;“.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია გარკვეული დაზუსტებების განხორციელების აუცილებლობით, კერძოდ:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების (შემდგომში - წესები) 39[1] მუხლი ეხება ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხს. ამასთანავე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ავარიულ საცხოვრებელ სახლად მიიჩნევა შენობა-ნაგებობა, რომელთა ავარიულობის ხარისხი მიეკუთვნება IV ან V კატეგორიას. ეს დასკვნა, თავის მხრივ გაცემული უნდა იყოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელია ისეთი შენობა-ნაგებობების არსებობა, რომლებიც ავარიულობის ხარისხის თვალსაზრისით, IV კატეგორიასთან ერთად ასევე შეიცავდეს III კატეგორიის დაზიანებებსაც, თუმცა იგი წარმოადგენდეს საფრთხის შემცველ შენობას, მისი ექსპლუატაცია დაუშვებელი იყოს და საჭიროებდეს დემონტაჟს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით რომ ამ პროგრამის მიზანია საფრთხის შემცველი ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება, რათა დაცულ იქნას როგორც მოქალაქეების/მესაკუთრეების ასევე საჯარო ინტერესები, მიზანშეწონილია რომ წესში დაზუსტდეს ავარიული შენობა-ნაგებობის განმარტება და გარდა დღეს არსებული განმარტებისა, დაემატოს რომ ავარიულ შენობა-ნაგებობად ჩაითვლება ასევე შესაბამისი შენობა-ნაგებობა, თუ იგი ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია პრაქტიკული თვალსაზრისით პროცესების გამარტივება.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით იცვლება 39[1] მუხლს მე-2 პუნქტი და მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი. აღნიშნულ დებულებებში დაზუსტა რომ ავარიულ შენობა-ნაგებობად ასევე მიიჩნევა შენობა-ნაგებობა, თუ იგი ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს.

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №-----

2026 წლის ------ **ქ. თბილისი**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 30/12/2025, სარეგიტრაციო კოდი: 010250050.35.101.017381) და ამ დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის“:

1. მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ავარიული საცხოვრებელი სახლი – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა), რომელთა ავარიულობის ხარისხი არის V ან IVკატეგორია და უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და ექვემდებარება დემონტაჟს ან უკვე განხორციელდა დემონტაჟი, ან თუ იგი, ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად, საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს;“;

2. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შენობა-ნაგებობა ან/და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტები არის ავარიული და ავარიულობის ხარისხი მიეკუთვნება V ან IV კატეგორიას, ან თუ იგი, ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად, საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს;“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იმ შემთხვევაში, როცა მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ერთზე მეტი შენობა-ნაგებობა, ამ მიწის ნაკვეთზე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამოსყიდვის პროცესი ამ წესის შესაბამისად წარიმართება, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავარიულობის ხარისხის/დემონტაჟის საჭიროების შესახებ დასკვნა

წარმოდგენილი იქნება მიწაზე განთავსებულ ერთ-ერთ საცხოვრებელ შენობა-ნაგებობაზე მაინც.";

3. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) გამოსასყიდი ავარიული საცხოვრებელი სახლი ან/და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტები ავარიულობის ხარისხის მიხედვით მიეკუთვნება V ან IV კატეგორიას ან თუ იგი, ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად, საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს, რაც დასტურდება დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, გაცემული სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ;".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №6-14 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის წესი“ (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – „მუნიციპალიტეტი“) ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის და შემდგომში ამ ტერიტორიის განვითარება/გამოყენების პირობებსა და პროცედურას. ამასთან, აღნიშნული დადგენილების მიხედვით, ავარიული საცხოვრებელი სახლი განმარტებულია როგორც: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა), რომელთა ავარიულობის ხარისხი არის V ან IVკატეგორია და უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და ექვემდებარება დემონტაჟს ან უკვე განხორციელდა დემონტაჟი.

პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელია ისეთი შენობა-ნაგებობების არსებობა, რომლებიც ავარიულობის ხარსისხის თვალსაზრისით, IV კატეგორიასთან ერთად ასევე შეიცავდეს III კატეგორიის დაზიანებებსაც, თუმცა იგი წარმოადგენდეს საფრთხის შემცველ შენობას, მისი ექსპლუატაცია დაუშვებელი იყოს და საჭიროებდეს დემონტაჟს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით რომ ამ პროგრამის მიზანია საფრთხის შემცველი ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვა რათა დაცულ იქნას როგორც მოქალაქეების/მესაკუთრეების ასევე საჯარო ინტერესები, მიზანშეწონილია რომ წესში დაზუსტდეს ავარიული საცხოვრებელი სახლის განმარტება და გარდა დღეს არსებული განმარტებისა, დაემატოს რომ ავარიულ სახლად ჩაითვლება ასევე შესაბამისი შენობა-ნაგებობა, თუ იგი ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზანი:

დადგენილების მიღების მიზანია, ხელი შეეწყოს ავარიული საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვის პროცესის გამარტივებას.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

დადგენილებით დამტკიცებული წესში შედის ცვლილება შემდეგ მუხლებში: მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და მე-2 პუნქტში, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში. აღნიშნულ დებულებებში დაზუსტა რომ ავარიულ საცხოვრებელ სახლად ასევე მიიჩნევა შენობა-ნაგებობა, თუ იგი ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №--

2026 წლის --------- **ქ. თბილისი**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 27/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016295) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ და 39^1 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ ავარიულ შენობა-ნაგებობებზე, რომელთა ავარიულობის ხარისხი მიეკუთვნება IV ან V კატეგორიას, ან თუ ეს შენობა-ნაგებობა, ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად, საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს.“;

ბ) მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხის დამადასტურებელი დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ამ შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხი არის IV ან V კატეგორიის, ან დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ეს შენობა-ნაგებობა, ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად, საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს. ამასთან, ეს დასკვნა გაცემული უნდა იქნას სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობა ავარიულობის საფუძვლით დემონტირებულია/დანგრეულია სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული ექსპერტიზის ორგანოს მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე გაცემული დასკვნის საფუძველზე, დამატებითი დასკვნის წარმოდგენა სავალდებულო არ არის;“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განპირობებულია გარკვეული დაზუსტებების განხორციელების აუცილებლობით, კერძოდ:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების (შემდგომში - წესები) 39^1 მუხლი ეხება ავარიული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხს. ამასთანავე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ავარიულ საცხოვრებელ სახლად მიიჩნევა შენობა-ნაგებობა, რომელთა ავარიულობის ხარისხი მიეკუთვნება IV ან V კატეგორიას. ეს დასკვნა, თავის მხრივ გაცემული უნდა იყოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელია ისეთი შენობა-ნაგებობების არსებობა, რომლებიც ავარიულობის ხარსისხის თვალსაზრისით, IV კატეგორიასთან ერთად ასევე შეიცავდეს III კატეგორიის დაზიანებებსაც, თუმცა იგი წარმოადგენდეს საფრთხის შემცველ შენობას, მისი ექსპლუატაცია დაუშვებელი იყოს და საჭიროებდეს დემონტაჟს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით რომ ამ პროგრამის მიზანია საფრთხის შემცველი ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება, რათა დაცულ იქნას როგორც მოქალაქეების/მესაკუთრეების ასევე საჯარო ინტერესები, მიზანშეწონილია რომ წესში დაზუსტდეს ავარიული შენობა-ნაგებობის განმარტება და გარდა დღეს არსებული განმარტებისა, დაემატოს რომ ავარიულ შენობა-ნაგებობად ჩაითვლება ასევე შესაბამისი შენობა-ნაგებობა, თუ იგი ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია პრაქტიკული თვალსაზრისით პროცესების გამარტივება.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით იცვლება 39^1 მუხლს მე-2 პუნქტი და მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი. აღნიშნულ დებულებებში დაზუსტა რომ ავარიულ შენობა-ნაგებობად ასევე მიიჩნევა შენობა-ნაგებობა, თუ იგი ავარიულობის ხარისხის კატეგორიის მიუხედავად საფრთხის შემცველია და საჭიროებს დემონტაჟს.

ბ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.